გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

პერიოდული ყოველკვარტალური გამოცემა №6

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 2
2. საჯარო განცხადებები 4
3. რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები 5
4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 6
5. წარმატებული საქმეები 9
6. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 9

სახალხო დამცველის აპარატს ნდობას უცხადებს იმ პირთა

75%

ვისაც სმენია მის შესახებ

ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

კამპანია

„უსაფრთხო სათამაშო"

2017 წლის ზაფხული

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, საქართველოში შეძენილი ათი სათამაშოდან ცხრა მავნე ნივთიერებას დი-2-ეთილჰექსილფტალატს (DEHP) შეიცავს, რომლის სათამაშოებში გამოყენება ევროკავშირის რეგულაციებით აკრძალულია.

კვლევის შედეგების გამოქვეყნებამდე იცოდით სათამაშოების ბაზარზე არსებული საგანგაშო მდგომარეობის შესახებ? მე მხოლოდ ყურმოკვრით. თუმცა მას შემდეგ, რაც გავიგეთ, რომ ჩვენს მიერ ნაჩუქარმა სათამაშომ შეიძლება ჩვენი ან ჩვენი მეგობრის შვილების ჯანმრთელობას ზიანი მიაყენოს, უნდა ვიმოქმედოთ! პირველ რიგში, მნიშვნელოვანია არსებული საფრთხის შესახებ რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა იცოდეს.

ამიტომ დავიწყეთ საინფორმაციო კამპანია „უსაფრთხო სათამაშო“ და ბიზნესორგანიზაციებთან ერთად დავაფუძნეთ ასოციაცია. კამპანიის მიზანია მთავრობას მივუთითოთ პრობლემის აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ასევე, აუცილებელია შეიქმნას სათამაშოების წარმოებისა და მიწოდების ბაზრის ზედამხედველობის მექანიზმი, მოწესრიგდეს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზარი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ბიზნესსექტორის პასუხისმგებლობა!

საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც სათამაშოების წარმოებასა და იმპორტს დაარეგულირებს, 2019 წლისთვის იგეგმება. იმისთვის, რომ ვადამ განუსაზღვრელი ვადით არ გადაიწიოს, მნიშვნელოვანია, წარმოებასა და იმპორტში ჩართულმა მხარეებმა ცვლილებებისთვის მზადება დაუყოვნებლივ დაიწყონ.

საკითხის მიმართ ყურადღების მობილიზაციის მიზნით ზაფხულის განმავლობაში უსაფრთხო სათამაშოს საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში რამდენიმე შეხვედრა გავმართეთ მცირე საოჯახო ტიპის სახლების ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან, საცალო ქსელების მეპატრონეებთან, თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ქიმიკოსებთან, მედიცინის და სოციალური დაცვის სამსახურის მუშაკებთან.

ზაფხული მნიშვნელოვანი იყო შეხვედრების კუთხითაც. ივნისში ჩვენს დელეგაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში 20–ზე მეტი შეხვედრა გვქონდა, მათ შორის, აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტში.

ნიუ იორკში შევხვდით გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ევროპის დეპარტამენტის, საერთაშორისო ორგანიზაციების Freedom Houses-ის, Human Rights Watch-ის და გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს საკითხებზე მუშაობენ.

ვიზიტის მთავარი მიზანი საქართველოს მეგობრებისთვის ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის გაცნობა იყო. წარმატებებისა და საფრთხეების განხილვის პარალელურად, თითქმის ყველა შეხვედრაზე აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქართველოდან საიდუმლოებით მოცულ გაუჩინარებაზე გვეკითხებოდნენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ზაფხულში გქონდა – ივლისში მესტიაში სახალხო დამცველის რიგით მეცხრე რეგიონული ოფისი გავხსენით. მაღალმთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი პრობლემები სვანეთში განსაკუთრებულად იგრძნობა, ამიტომ შევარჩიეთ მესტია რეგიონული ოფისის გასახსნელად.

2. საჯარო განცხადებები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი გამოეხმაურა ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე საგანგაშო შემთხვევებს.

2017 წლის 9 ივნისს ცნობილი გახდა, რომ პოლიციამ ნარკოტიკების ფლობის ბრალდებით დააკავა მუსიკალური ჯგუფის „ბირჟა მაფიას“ რეპერები. მუსიკალური ჯგუფის წევრები ამტკიცებდნენ, რომ ისინი პოლიციის თანამშრომელთა გაშარჟების გამო დააკავეს. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, კლიპის შინაარსი და გამოყენებული ვიზუალი სრულად იყო დაცული გამოხატვის თავისუფლებით.

განათლების უფლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის დისკრიმინაციის გარეშე. სახალხო დამცველმა ჩათვალა, რომ დისკრიმინაციული იყო 2017-2018 სასწავლო წელს, ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შესარჩევი ტურის მოთხოვნა – აბიტურიენტს არ ქონდეს გამოუსწორებელი ორგანული დეფექტი.

მოძრაობა „ქართული მარშის“ ორგანიზატორთა მიერ, სოციალურ ქსელში გავრცელებული ახალგაზრდა ქალის შეურაცხყოფა და სავარაუდო მუქარა კიდევ უფრო ართულებს გენდერული თანასწორობის მხრივ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა. სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა დროულად და ეფექტიანად წარმართოს მუქარის სავარაუდო ფაქტზე მიმდინარე გამოძიება.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ინტენსიურად აკვირდებოდნენ მთავრობის კანცელარიასთან და შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობასთან მიმდინარე საპროტესტო აქციებს. მონიტორინგმა ცხადყო, რომ პოლიცია ხშირად უკანონოდ ზღუდავს მოქალაქეთა შეკრების თავისუფლებას. სახალხო დამცველის აზრით, მსგავსი ქმედებები შეუთავსებელია გამოხატვის თავისუფლებასთან.

25 ივლისს დიდ დიღომში მშენებლობაზე მუშის გარდაცვალების გამო სახალხო დამცველმა მწუხარება გამოთქვა. სამუშაო ადგილებზე ადამიანების დაშავების და დაღუპვის მაღალი მაჩვენებლები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში აღნიშნული საკითხი ძალზე მწვავედ დგას და საჭიროებს დროულ, სისტემურ და თანმიმდევრულ მიდგომას ვითარების რადიკალურად შესაცვლელად.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია–განლაგების მომწესრიგებელი ნორმების ამოქმედების ვადად 2018 წლის 1 იანვრის ნაცვლად 2022 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ 9 წელი გავიდა, თუმცა მის შედეგებს დღემდე მწვავედ განიცდიან ოკუპირებულ ტერიტორიასა თუ გამყოფი ხაზის მიმდებარედ მაცხოვრებლები; შეშფოთებას იწვევს დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა გახშირებული თავდასხმები სამოქალაქო აქტივისტებზე. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია მწვავე ჰუმანიტარული საკითხები პოლიტიზირების გარეშე გადაწყდეს და მხარეებმა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ადამიანის უფლებათა მიდგომის საფუძველზე გამონახონ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს

თემზე დაფუძნებული მომსახურების განვითარებისკენ, და ამ პროცესში განსაკუთრებულია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და მონაწილეობა. 24 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა რუსთავის მერიის გადაწყვეტილება „მობილური ფსიქიატრიული ჯანდაცვის“ მომსახურების თანადაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან სერვისის შეწყვეტამ შეიძლება გაზარდოს პაციენტების ჯანმრთელობის გაუარესების რისკს.

ბოლო წლების განმავლობაში ძალადობისა და ჰომოფობიური გამოვლინებების არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, რა დროსაც ლგბტ თემის წარმომადგენლები პოლიციის უმოქმედობაზე და მათ შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაზე უთითებენ. სავარაუდოდ, მსგავს ფაქტს ქონდა ადგილი ბათუმში, როდესაც პოლიციელებმა თანასწორობის მოძრაობის წევრები დააკავეს მაშინ, როდესაც ისინი პოლიციელებს თავდამსხმელებისაგან დაცვას სთხოვდნენ. სახალხო დამცველმა მთავარ პროკურატურას მოუწოდა რეაგირება მოახდინოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელების მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.

სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, არ დაუშვას საქართველოს კონსტიტუციაში ისეთი საფუძვლების დამატება, როგორიცაა სახელმწიფო უსაფრთხოება, დანაშაულის თავიდან აცილება და მართლმსაჯულების განხორციელება. ეს საფუძვლები არ არის განჭვრეტადი და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებას.

3. რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები

2017 წლის ზაფხულის თვეებში სახალხო დამცველმა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს 21 რეკომენდაცია და 11 წინადადება წარუდგინა.

3.1. გაგზავნილი რეკომენდაცია/წინადადებები თვეების მიხედვით



3.2. რეკომენდაცია/წინადადებები საკითხების მიხედვით



პასუხი მივიღეთ 29 გაგზავნილ რეკომენდაცია/წინადადებებზე, სამზე პასუხი არ მიგვიღია.

4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

ალტერნატიული ანგარიშები

სახალხო დამცველმა გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს ალტერნატიული ანგარიში წარუდგინა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტებს მიმოიხილავს.

18 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს კომუნიკაცია წარუდგინა, სადაც მიმოიხილავს რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილ ძალადობის ფაქტებს და სხვა სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებზე სახელმწიფოს რეაგირებას, აფასებს მას და აანალიზებს არსებულ ნაკლოვანებებს.

საჯარო დებატები

ზაფხულის განმავლობაში ორი საჯარო დებატები გაიმართა.

30 ივნისს საჯარო დებატები გაიმართა „უცხოელებისა და ნეიტრალური დოკუმენტის მქონე

პირთა უფლებებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების“ საკითხებზე. დებატებზე უარყოფითად შეფასდა სახელმწიფო პრაქტიკა, რომელიც ლტოლვილსა და თავშესაფრის მაძიებელს არ აცნობს ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის მიზეზებს.

28 ივლისს გორში ჩატარებულ საჯარო დებატებზე სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ნათია კაციტაძემ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს როლსა და მის მიერ „2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და უსაფრთხოების გამოწვევებზე“ ისაუბრა.

სპეციალური ანგარიშები

ივნისში სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას, დიპლომატიურ კორპუსს, საერთა-შორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ 2016 წლის ანგარიშიდან ცალკეული თავები და უფლებრივი მდგომაროების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეკომენდაციები წარუდგინა.

სპეციალური ანგარიშები ეხებოდა ბავშვთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობას, ფსიქიკური ჯანდაცვის დაწესებულებათა პრივატიზაციის პროცესის შეფასებას, დასკვნებსა და რეკომენდაციებს. წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღეს – 26 ივნისს გაიმართა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის პრეზენტაცია.

საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საქართველოს რეგიონებში მაცხოვრებლებთან, მუნიციპალიტეტების თანამშრომლებთან და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საკითხებზე ათზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

სამეგრელოს რეგიონული სამმართველოს ზუგდიდის ოფისში შეხვედრები ჩატარდა გალის რაიონის სკოლების მასწავლებლებთან, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობებისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, ასევე ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტებთან.

ქვემო ქართლის ოფისის რეგიონულმა წარმომადგენლებმა ბავშვის უფლებების და ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე საინფორმაციო შეხვედრები გამართეს ქესალოში, მეორე ქესალოსა და ილმაზლოში, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგეთში.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა რეგიონული ოფისების თანამშრომლებთან ერთად ქუთაისსა და თელავში გამართულ შეხვედრებზე ადვოკატებთან და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დაკავებულ პირთა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრეს და სახალხო დამცველის მანდატი და საქმიანობა განიხილეს.

ტრენინგები

სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ ივლისში 2 ტრენინგი გამართა.

თბილისის საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობა ზოგადი განათლების საფეხურზე“. მეორე ტრენინგი „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტების“ თემაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის იმ თანამშრომლებისთვის გაიმართა, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საჭიროების მქონე უცხოეთში სხვადასხვა მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებთან.

5. წარმატებული საქმეები

5.1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრის არაერთი მოთხოვნის შედეგად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოფელ აზავრეთის საბავშვო ბაგა – ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით 80 000 ლარი გამოიყო.

5.2. სახალხო დამცველის რეკომენდაციით დევნილს შემწეობა აუნაზღაურეს, რომელიც მას 2014 წლის იანვრიდან მაისამდე, სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობის გამო არ ერიცხებოდა.

5.3. სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ოჯახში შესაძლო ძალადობის 2 საქმეზე გამოძიება დაიწყო.

5.4. გამოძიება დაიწყო ასევე არასრულწლოვანი გოგონას ქორწინების იძულების ფაქტზე.

5.5. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის მიმართ პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე პროკურატურის გამომძიებლებს გადასცა[1].

5.6. საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო თბილისის საქალაქო სასამართლომ 20–22 ივნისს იუსტიციის მინისტრი და იუსტიციის სამინისტროს 10 სსიპ–ს ხელმძღვანელი სამართალდამრღვევად ცნო. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორი და სახდელის სახით 800 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა.

6. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

6.1. სახალხო დამცველის აპარატს ნდობას უცხადებს იმ პირთა 75% ვისაც სმენია მის შესახებ.

ორგანიზაცია „იესითის“ კვლევის თანახმად, სახალხო დამცველს ენდობა იმ ადამიანთა 75% ვისაც სმენია მის შესახებ, 80%–მა იცის, რომ ომბუდსმენი უჩა ნანუაშვილია, ხოლო 73% მზად არის საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სახალხო დამცველს. სახალხო დამცველის ინფორმაციას სანდოდ მიიჩნევს 65%. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, იმ მოსახლეობის 72%, ვისაც სახალხო დამცველის ოფისთან რაიმე ტიპის შეხება ჰქონია, კმაყოფილია ამ გამოცდილებით და ომბუდსმენის აპარატის დახასიათებისას უმეტესობა ხაზს უსვამს გულისხმიერებას, სამართლიანობას, კვალიფიციურობას, მომსახურების სისწრაფეს.

6.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის აქტივობა.

ივნისში, ივლისსა და აგვისტოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებაში 65 ვიზიტი

[1] თუმცა პროკურატურამ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა მუხთარლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შესახებ

განახორციელეს და 273 პატიმარი მოინახულეს.

6.3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა ზაფხულის განმავლობაში შეისწავლეს და შეაფასეს ქსნის N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში, ქუთაისის N2 და თბილისის N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. ამასთან, შეამოწმეს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და კახეთის რეგიონში მდებარე შსს დროებითი მოთავსების იზოლატორები და შსს სამმართველოები.

6.4. ბავშვის უფლებების ცენტრის აქტივობა

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა თბილისის ოთხი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მონიტორინგი ჩაატარა. აგრეთვე, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებთან და სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტებთან ერთად შეამოწმა საქართველოში არსებულ 10 მცირე საოჯახო ტიპისა და 9 რელიგიური კონფესიების ბავშვთა სახლებში.

სტატისტიკა

ივნისის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 2 333 განცხადება.

6.5. დასაშვებობაგავლილი განცხადებები დეპარტამენტების მიხედვით



6.6. შემოსული განცხადებების რაოდენობა გენდერულ ჭრილში



6.7. რეგიონებში რეგისტრირებული განცხადებები – 283



6.8. შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა



6.9. ცხელ ხაზზე შემოსული სატელეფონო ზარები ადამიანის უფლებათა დარღვევების მიხედვით

- ინფორმაციის მიღების უფლება - 539
- დისკრიმინაცია - 9
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება - 1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება - 7
- ეკოლოგიურ-გარემოსდაცვითი უფლებები - 4
- დევნილთა უფლებები - 2
- სოციალური დახმარებს საკითხი - 13
- შრომითი უფლებები - 5
- საკუთრების უფლება - 10
- პატიმრობის პირობები - 62
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა - 34
- წამება და არასათანადო მოპყრობა - 1
- ბავშვის უფლებები - 49
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები - 6
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები - 18

6.10. ვიზიტორებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა

- ვიზიტორების რაოდენობა (თბილისსა და რეგიონულ ოფისებში) – 1 678
- ცხელ ხაზზე შემოსული ზარების რაოდენობა – 1 432
- საქალაქო ტელეფონზე ზარების რაოდენობა – 2 336

კონტაქტი

თბილისი, ნინო რამიშვილის ქ.6 თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/2913841/
2913842/2913843/2913875/2913876/2913877

ფაქსი: +99532 913841 ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ზემო სვანეთი
სეტის მოედანი N19
მობ: 596 17 41 41

ოზურგეთი
ჭავჭავაძის N14
ტელ: 0496 27 30 53
მობ: 593 44 44 27

ახალქალაქი
ჭავჭავაძის N4
ტელ: 0362 22 32 83
მობ: 577 12 27 70
591 96 88 82

ზუგდიდი
კოსტავას N58
ტელ: 0415 22 36 11
მობ: 595 52 53 56

ბათუმი
მაზნიაშვილის N9
ტელ: 0422 27 05 44
მობ: 595 80 78 43

მარნეული
რუსთაველის N51
ტელ: 0357 22 19 70
მობ: 595 52 53 57

გორი
სამების N1
ტელ: 0370 27 05 49
მობ: 551 66 14 77

ქუთაისი
რუსთაველის N18
ტელ: 0431 25 33 50
მობ: 577 55 33 81

თელავი
ჩოლოყაშვილის N3
ტელ: 0350 27 99 27
მობ: 591 88 35 38

ცხელი ხაზი - 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია: ლევან მესხორაძე, თამარ ხიდაშელი